მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მაღალ დონეზეა განვითარებული სოფლის მეურნეობა, მიდის მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით, სხვა შემთხვევაში გამორიცხულია სოფლის მეურნეობის განვითარება. ამიტომ ჩვენს ქვეყანაშიც უნდა დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და მაქსიმალურად გამოირიცხოს ხელით შრომა, რაც არის უაღრესად არაეფექტური.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ჩვენს ქვეყანაშიც განვითარდეს სოფილის მეურნეობა და კერძოდ კი მესაქონლეობა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება დაიგეგმოს ნათესის მოსავლიანობა და შემდეგ საქონლის წველადობა ყოველწლიური შემდეგი მატებით.

ჩემს შემთხვევაში, ეს ფერმა იქნება სოფილის მეურნეობაში საწყისი პოსტულატე, რის განვითარების შემდეგაც, განვითარდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც. მაგალითად მეღორეობა, მემინდვრეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა.

5.5. ანალიზი.

ეს ყველაფერი არის ნამდვილად შესაძლებელი, პერსპექტიული, აუცილებელი და სასარგებლო როგორც ქვეყნისათვის, ისე თვით ბიზნესისათვის და ისე ხალხისათვის დასაქმების მხრივ. სხვა ბიზნესმენებისათვის კი იქნება თვალსაჩინო მაგალითი.

6. საინვესტიციო გეგმა.

სოფლის მეურნეობაში, ინვესტიციის მხრივ, ყველაზე უფრო მოცულობადი არის მესაქონლეობა და განსაკუთრებით მესაქონლეობის მერძეული მიამართულება.

სამაგიეროდ, ეს მიმართულება არის ყველაზე უფრო მომგებიანი, ვიდრე ნებისმიერი სხვა მიმართულებები და სხვა დარგები. ეს შემიძლია დავასაბუთი პირადი საუბრის დროს.

ამ პროექტის განსახორციელებლად არის საჭირო ინვესტირება შემდეგი სახის.

1) სარწყავი-სახნავი მიწის ყიდვა;
2) პროექტისათვის საჭირო ტექნიკის ყიდვა;
3) ფერმის ყიდვა ან აშენება;

4) მიწის დამუშავება და დათესვა;
5) საქონლის (დეკეულების) ყიდვა.
6) ინფრასტრუქტურის მოსაწყობად სხვადასხვა ინვენტარის ყიდვა.
7) პირველ შემოსავლამდე, პროექტის გამართული მუშაობისათვის ინვესტირება-დაფინანსება.

7. შესასრულებელი ოპერაციების გეგმა

პროექტის სისრულეში მოსაყვანად, პირველი და ყველაზე მთავარი არის.

1) სარწყავი, სახნავი მიწის ყიდვა;

1 სულ საფურაჟე ძროხაზე 1 ჰა მიწა, 100 სულზე – 100 ჰა მიწა.

2) მიწის დამუშავება და დათესვა.

გათვლის მიხედვით, ნაკვეთი დაიყოფა რამდენიმე ნაწილად და დაითესება როგორც მარცვლოვანი კულტურები ასევე მრავალწლოვანი და ერთწლოვანი საკვები ბალახები.

ნაკვეთების დაყოფა კულტურების მიხედვით ხდება შემდეგნაირად.

საკვები ნორმებიდან გამომდინარე, დაითვლება საკვების რაოდენობა, რომელიც ესაჭიროება ერთ სულ ძროხას ერთი წლის განმავლობაში. მრავლდება სულთა რაოდენობაზე და ვიღებთ საკვების იმ რაოდენობას, რამდენიც საჭირო არის 1 წლის განმავლობაში. ვიცით რა, საკვები კულტურების საშუალო წლიური მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე, გამოითვლება მიწის ის ფართობი, რომელიც არის საჭირო, ამა თუ იმ საკვები კულტურის მოსაყვანად. ასე დაიყოფა ნაკვეთი, საკვები კულტურების ,იხედვით.

3) საჭირო ტექნიკის ყიდვა ფერმაში მიღებული ტექნოლოგიის მიხედვით;
4) ფერმის ყიდვა ან აშენება სულადობის და დაგეგმილი პროდუქტიულობის მიხედვით პლუს პერსპექტივის გათვალისწინებით.
5) საქონლის-დეკეულების შერჩევა-ყიდვა სანაშენე საქმიანობისათვის.
6) მიღებული ტექნოლოგიის მიხედვით საჭირო ინვენტარის შეძენა.

8. ფინანსური გეგმა

ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების შესასრულებლად, საჭიროა შემდეგი ინვესტიციის რაოდენობა.

1) სარწყავი მიწის ყიდვა.

1 ჰა - 1500 $ - 100 ჰა – 150 000 $.

150 000 X 1.8 = 270 000 ლარი.

2) **მიწის** დამუშავება და დათესვა.

სხვადასხვა კულტურის დასათესად მიწის მომზადებას, სხვადასხვა **რაოდენობის** თანხა სჭირდება, სათესლე მასალის ფასიც სხვადასხვაა.

ავიღოთ საშუალო თანხით. 1 ჰა-ზე – 600 ლარი.

100 ჰა X 600 ლარზე = 60 000 ლარს

3) ტექნიკის შესასყიდ ფასს დავითვლით საჭირო ტექნიკის მიხედვით.

1. ტრაქტორი ბელორუსი 1 ერთეული – 18 000 ლარი;
2. სათიბი ტექნიკა ბელორუსზე ასაბმელი, კვალზე დამწყობი – 9 000 ლარი;
3. სათიბი მოწყობილობა ბელარუსზე დასაკიდი – 1 000 ლარი;
4. ბალახის დამქუცმაცებელი ბელორუსზე მისაბმელი – 9 000 ლარი;
5. ფოცხი ნათიბი ბალახის ასაქუჩებელი – 1 500 ლარი;
6. თივის საპრესი მოწყობილობა – 5 000 ლარი;
7. ლაფეტი ბელორუსის – 4 000 ლარი;
8. საკვების დამრიგებელი – 10 000 ლარი;
9. ბულდოზერის დანა ბელორუსზე დასამონტაჟებელი – 500 ლარი;

ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკის შეძენა შესაძლებელია ნახმარისაც კარგ მდგომარეობაში.

ფასები ტექნიკაზე არის მიახლოებითი და შეიძლება შეიცვალოს.

ჯამში ტექნიკის მიახლობითი ფასი გამოვა

55 000 – 60 000 ლარი.

დასათესად მიწის გამზადება შესაძლებელია ნაქირავები ტექნიკითაც.

4) ფერმის ყიდვა ან აშენება.

ფერმა უნდა იყოს უშუალოდ მიბმული მიწის ნაკვეთთან, ან მის სიახლოვეს მაქსიმუმ 1 კილომეტრის მოშორებით.

ფერმის ყიდვის შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდოა რომ, ფერმა მიბმული იყოს ნაკვეთთან, ამიტომ ფერმა გეგმის მიხედვით უნდა აშენდეს.

ფერმისათვის საჭირო მასალის ფასებიდან გამოდინარე ფერმის აშენება დაჯდება: დაახლოებით:

1 200 m^2 ფართის ფერმა – 100 000 ლარი

5) დეკეულის ყიდვა.